საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №29

ქ. თბილისი "20" 01 2009 წ.

შ.პ.ს. „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციი"-ს მიერ წარმოდგენილ მარტყოფის ჰიდროელექტროსადგურის საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24 მუხლის, მე-4 პუნქტისა და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1 პუნქტის „მ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შ.პ.ს. „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციი"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა – გარდაბნის რ-ში, მარტყოფის ჰიდროელექტროსადგურის საქმიანობაზე.
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
3. ნებართვა გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ნებართვის მფლობელს
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №3 13.01.09. და ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.

გიორგი ხაჩიძე

მინისტრი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, ნებართვის მიმღებ სუბიექტს, გარემოს დაცვის ინსპექციას

საქართველოს გარემოს დაცვისა
და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა № 00156

კოდი M D 1 „20" „იანვარი" 2009 წ.

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი: შ.პ.ს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია"

2. საქმიანობის მიზანი: მარტყოფის ჰიდროელექტროსადგური

3. განსახორციელებელი საქმიანობის აღგილმდებარეობა: გარდაბნის რ-ნი მარტყოფი

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია: საერთაშორისო კვლევითი ფირმა „გამა"

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია: გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

6. ნებართვის გაცემის საფუძველი: ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N3; 13.01.09

7. ნებართვის პირობები: ნებართვა მოქმედებს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემთხვევაში

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია:

საქართველოს გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი (გვარი, სახელი, თანამდებობა)	ლოგინოვისა და ნებართვების სამსახურის უფროსი ნიკოლოზ ჭახნაკია

.....

ბ. ს.

დამკვეთი: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „ფინანსები"
„ს.ფ.ს" რეგისტრაციის №2-0360

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1-593

ქ. თბილისი "02" 12 2009წ.

შ.პ.ს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციაზე" გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის ს.ს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ზე გადაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ე" ქვეპუნქტისა და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის" შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის საფუძველზე, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადებით მომართეს შ.პ.ს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაცია-მ რომელმაც ითხოვა მასზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის №00156 ს.ს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ზე გადაცემა და ს.ს „ენერგო-პრო ჯორჯია"-მ რომელმაც ითხოვა ამ ნებართვის მიღება

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შ.პ.ს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაცია-ზე გაცემული №00156 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცეს ს.ს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს.
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის 2009 წლის 13 იანვრის №3 დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება.
3. დაევალოს სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს უზრუნველყოს უწყებრივ სანებართვო რეესტრში ცვლილებების შეტანა და სანებართვო მოწმობის გაცემა ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად.

4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შ.პ.ს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაცია-ს და ს.ს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს.
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წლის 20 იანვრის №29 ბრძანება.
6. დაევალოს შ.პ.ს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციას" უზრუნველყოს მასზე გაცემული №00156 გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის დაბრუნება სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურისათვის.
7. ბრძანება ძალაში შევიდეს ს.ს „ენერგო-პრო ჯორჯია"-სა და შ.პ.ს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
8. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში, საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: შ.პ.ს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციისა" და ს.ს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს დირექტორის განცხადებები, მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულება „ნებართვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ" და ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, გარემოს დაცვის ინსპექციას, შ.პ.ს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაცია"-ს და ს.ს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს.